44
მ-337

თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა
და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ნატო მარტაშვილი

ფრანგული მხატვრული პროზაული ტექსტის სათაურის როგორც ლინგვოსემიოტიკური ფენომენის ტექსტთან მიმართების სინტაქსური, სემანტიკური და პრაგმატიკული ასპექტები

სპეციალობა 10.02.05 - რომანული ენები

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი
2005

ნაშრომი შესრულებულია თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფრანგული ფილოლოგიის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ია ფხაკაძე,
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი (10.02.04)

ოფიციალური ოპონენტები: 1. ქეთევან ჯაში
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი (10.02.04)

2. ციური ახვლედიანი
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი (10.02.04)

დისერტაციის დაცვა შედგება 2005 წლის "17" 11 ---------- საათზე თბილისის ი.ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის P10.01.№1 სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე უნივერსიტეტის საკომფერენციო დარბაზში.

მისამართი: 0162, თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზირი № 45.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია თბილისის ი.ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში, თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზირი № 45.

ავტორეფერატი დაიგზავნა 2005 წლის "14" 10

სადისერტაციო საბჭოს
სწავლული მდივანი,
პროფესორი ლ. გვასალია

-2015-

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თანამედროვე კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში ტექსტი მოიაზრება, როგორც უმაღლესი რანგის დინამიკური კომუნიკაციური ერთეული, რისი მეშვეობითაც ხორციელდება ავტორისეული ჩანაფიქრის გახსნა. ამ პრობლემატიკაში მნიშვნელოვანი როლი აქვს სათაურის ფენომენს, რომლის კვლევას, სამწუხაროდ, ფართო მასშტაბები ჯერჯერობით არ შეუძენია. ჩვენი ნაშრომის საკვლევ ობიექტს წარმოადგენს ფრანგული პროზაული ნაწარმოების სათაური, როგორც ლინგვოსემიოტიკური ფენომენი. **არჩევანი** შემთხვევითი არ გახლავთ. მას განაპირობებს, ერთის მხრივ, აღნიშნული ფენომენის ნაკლებშესწავლილობა, მეორეს მხრივ კი, ეპოქალური ცვლილებების (პრაგმატიზაციის, ანთროპოცენტრისტრულობის) გათვალისწინება, რამაც ლინგვისტურ კვლევაში თითქმის ყველა ფენომენი მოიცვა. უდავოდ საინტერესოა აღნიშნულ თავისებურებათა გამოვლენა სათაურის სინტაქსურ და სემანტიკურ სტრუქტურაში და მათი ხასიათის აღწერა. საინტერესოა, აგეთვე იმ თავისებურებათა შესწავლა რაც პრაგმატიზირებული სათაურის ტექსტთან ურთიერთობის პროცესებს ახასიათებს. აღნიშნული ფაქტორები ჩვენს არჩევანსაც განაპირობებს და <u>ნაშრომის აქტუალურობასაც</u> განსაზღვრავს.

ნაშრომში სათაური, როგორც ლინგვოსემიოტიკური ფენომენი, შეისწავლება ნიშნის სამგანზომილებიანი მოდელის შესაბამისად როგორც სინტაქტიკური, ასევე სემანტიკური და ხაზგასმით კი, პრაგმატიკული თვალსაზრისით. გარდა ამისა, სათაურის შესწავლა ჩვენს ნაშრომში წარმოებს ტექსტის ფარგლებში, რაც ტექსტოლოგიზაციის მოთხოვნებს სრულად შეესაბამება და ამდენად, ნაშრომს უფრო მეტ აქტუალურობასაც ჰმატებს და მის სიახლესაც განსაზღვრავს.

<u>ნაშრომის სამეცნიერო სიახლეს</u> განაპირობებს ასევე ის ფაქტიც, რომ სათაურის კვლევა ჩვენს ნაშრომში ხორციელდება ახლად გააზრებული ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციური ლინგვისტიკის ცნებითი აპარატის გამოყენებით. აღსანიშნავია, რომ იმ მცირერიცხოვან კველევათა შორის, რომლებიც სათაურს ეძღვნება, ასე კომპლექსურად ეს ფენომენი ჯერ არ შესწავლილა.

<u>ნაშრომის მიზანია</u> სათაურის, როგორც ლინგვოსემიოტიკური ფენომენის სინთეზური კვლევა ანუ მისი კვლევა სამივე განზომილებაში: სინტაქტიკა, სემანტიკა, პრაგმატიკა, (პრაგმატიკულ ასპექტზე აქცენტით) და მისი ტექსტთან კავშირების ხასიათის გამოვლენა.

ნაშრომის მიზნები განსაზღვრავს <u>კონკრეტულ ამოცანებს</u>. კერძოდ ესენია: